სახელი: მარიამი

გვარი: ღუღუნიშილი

ასაკი: 16

სკოლა: სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთის საჯარო სკოლა

კლასი: XII

ტოლერანტობა ქვეყნის საიმედო ქვაკუთხედია

ტოლერნატობა ეს არის ძირითადი საფუძველი დემოკრატიული ქვეყნისა თუ გვინდა მას ჰქონდეს მომავალი,სადაც ცხოვრება ყველასათვის სასიამოვნო იქნება. იგი მოიცავს ადამიანის თავისუფალი არჩევნის პატივისცემას და გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას. ჩვენს გარშემო უამრავი ეროვნების,მრწამსისა თუ რასის წარმომადგენელია, შესაბამისად ყველამ უნდა გავისგრძეგანოთ, რომ ჩვენ ადამიანებისგან არა ჩვენთვის სასურველი იდეალი შევქმნათ, არამედ ისინი ისეთი მივიღოთ როგორებიც არიან. თუ ვეცდებით, რომ ტოლერანტული გარემოს შესაქმნელად ჩვენი მაქსიმალური გავაკეთოთ და ვიქნებით შემწყნარებლები,მჯერა, რომ შევქმნით სამყაროს, სადაც ნებისმიერი ადამიანი იქნება პიროვნება, რომელსაც შესაძლებლობა ექნება საკუთარი შეხედულების დაფიქსირებისა და ამის არც შერცხვება და არც შეეშინდება. ეს არის საშუალება მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, შესაბამისად საიმედო ქვაკუთხედი ქვეყნისა.

საქართველოს მუდამ უწევდა სხვადასხვა ეროვნების ხალხთან ბრძოლა, მიუხედავად ამისა, მათი მოსახლეობისთვის იგი ყოველთვის კარგი მასპინძელი იყო და გულდაყწვეტილს არავის ტოვებდა. თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ აღმოვაჩენთ, რომ რუსეთს კარგი საქართველოსათვის თითქმის არაფერი გაუკეთებია. დღესაც კი ჩვენი ტერიტორიის 20% მათ მიერაა ოკუპირებული. არსებული მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოში უამრავი რაოდენობის რუსი ცხოვრობს. ისინი სრულიად არ გრძნობენ თავს არაკომფორტულად, პირიქით, შეიძლება აქეთ გაგკიცხონ თუ რაიმე არ მოეწონებათ. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათ შეუძლიათ აკეთონ ის, რაც სურთ და მოიქცნენ ისე, როგორც სურთ, ისინი სრულებით თავისუფალნი არიან ყველაფერში. არა მხოლოდ რუსები, არამედ მრავლად არიან სომხები, უკრაინელები, თურქები და ა.შ. რომლებთან ერადაც მრავალი წელია უკვე მშვიდობიანად თანავცხოვრობთ. ეს კი გვაძლევს საშუალებას შეიქმნას ტოლერანტული სახელწიფო, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან ჰარმონიული ურთიერთობა ექნებათ.

სამწუხაროდ, ხშირადაა დისკრიმინაცია კანის ფერის გამო. დიახ, კანის ფერის. როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთმანეთი მხოლოდ იმით განვასხვავოთ რომ სხვადასხვა ფერის კანი გვაქვს ან ვინ მოგვცა ჩვენ უფლება რომ მათ შესაძლებლობები შევუზღუდოთ. ეს უმეტესად ეხება გასულ საუკუნეებს, როდესაც შავი კანის ფერის გამო ხალხს ძალიან ცუდად ექცეოდნენ, უმეტესი ნაწილი მონებად ყავდათ ქცეული, არ აძლევდნენ საშუალებას ესარგებლნათ იმ უფლებებით,რომელებიც ჩვენ ,ადამიანებს, გვაქვს. ასევე ყველასთვის ნაცნობი თემაა თუ როგორ ექცეოდნენ ებრაელ ხალხს, სძულდათ ისინი საზოგადოებას. მათ უფლებებს მაქსიმალურად ამცირებდნენ. ზოგიერთი პროფესია აკრძალული იყო მათთვის, აკისრებდნენ დიდ გადასახადებს, ართმევდნენ ქონებას და კლავდნენ კიდეც მხოლოდ იმიტომ რომ ბრბოს ასე უნდოდა. ასეთი საქციელი კი, რა თქმა უნდა, მიუღებელია. თუ გვინდა ვიცხოვროთ ტოლერანტულ გარემოში უნდა ვეცადოთ, რომ ყოველგავრი ძალადობა უკუვაქციოთ, სიძულვილი სიყვარულითა და მზრუნველობით შევცვალოთ და მჯერა, ეს მოგვიტანს შედეგს, რომელიც უკმაყოფილოს არავის დატოვებს. მოვექცეთ ხალხს ისე, როგორც ჩვენ გვინდა რომ გვექცეოდნენ და ყოველდღე დავფიქრედეთ იმაზე თუ ,, აბა დღეს მე ვის რა ვარგე“ .

საბოლოოდ კი მინდა ვთქვა, რომ ნუ ვიცხოვრებთ სიძულვილით. ჩვენ , თითოეული ადამიანი, ერთმანზე მეტი არაფრით ვართ და განსხვავებულობის გამო ვიღაცები საზოგადოებიდან არ უნდა გავრიყოთ მხოლოდ იმის გამო , რომ არ მოგვწონს, ეს არაა გასასამართლებელი მიზეზი. ვეცადოთ ერთმანეთი გვიყვარდეს და დავაფასოთ. მჯერა, რომ თუ მოვინდომებთ შევქმნით ტოლერანტულ საზოგადოებას.